ხაშურის მოამბე

№43(324) 29 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2021 წელი

მოგილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2022 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, ვინც ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან, სამედიცინო პერსონალს, რადგან მათი შრომა გმირობის ტოლფასია. განსაკუთრებით მინდა მივულოცო პედაგოგებს, რომლებმაც, პანდემიის ფონზე, შეუძლებელი შეძლეს და დაუღალავად იღვწიან ახალი თაობის განათლებისათვის.

მე მჯერა თქვენი გონიერების, მჯერა, რომ ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით,დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ. ახალი წელი ყოფილიყოს საქართველოს გამთლიანების და ეკონომიკური აღმავლობის წელი, გვქონოდეს სიყვარული ოჯახში და ერთობა ერში.

ღმერთმა ქვეყნის სიყვარული გაგვიძლიეროს, როგორც დიდი ილია იტყოდა: "რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა,პატიოსანს გულში მაინც ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს".

2022 წელი წელი ყოფილიყოს სურვილების ასრულების, დასახული მიზნების განხორციელების, სიუხვისა და ბედნიერების მომტანი თქვენთვის!

ზაალ დუგლაძე,
მაჟორიტარი დეპუტატი,
საქართველოს პარლამენტის
წევრი

უფალმა მოგცეთ ნუგეში, დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი და ქვეყანა!

ახალი წელი ყოფილიყოს სიმშვიდის, აღმშენებლობის, კეთილგონიერების, კაცთმოყვარეობის, ერთად დგომის და სწორი გადაწყვეტილებების მიღების წელი.

გფარავდეთ წინაპართა მადლი, შეგეწიოთ უძლიერესი ქართული სალოცავები, უფალმა მოგცეთ ნუგეში, დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი და ქვეყანა.

ყველა ადამიანი იმედით შეჰყურებს მომავალს და ახალი წლისგან უკეთესს მოელის, ამიტომაც ვზეიმობთ და გვიხარია, ერთმანეთს ვულოცავთ, გვჯერა, რომ ახალი წელი ბევრ სასიკეთო სიახლეს მოგვიტანს. ახალი წელი გვიბიძგებს გავიაზროთ წინა წლის მოვლენები და დავაწყოთ სამომავლო გეგმები, ეს ზრდის დასახული მიზნის მიღწევის შანსს.

როგორც ქვეყნის დიდი მოსიყვარულე, ნოდარ დუმბაძე იტყოდა: „ბუნების ძალავ,შემოქმედო ყოვლისა,შენ გაუთენე ჩემ ხალხს,ჩემ სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი, გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბეღელი – პურით, მარანი – ღვინით, ახორი – საქონლით,კერია – ფრინველით და გული – სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილთაშვილებითა და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩვენს ქვეყანაში, არ მოუშალო გონიერი კაცი და მწყემსი საქართველოს".

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
მერი

მოგილოცავთ ახალი წლის ულამაზეს დღესასწაულს!

დაე, მომავალმა ახალმა წელმა თქვენს ოჯახებს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს!

გისურვებთ კერაში ჩაუქრობელ ცეცხლს,რადგან ჯერ კიდევ ჩვენი ბებია-ბაბუების დროს ანთებული მუგუზლიდან დაცვენილი ნაპერწკლების სიმრავლე პურის, ღვინის, დოვლათის, ოჯახის გამრავლების სიმბოლო იყო საქართველოში.

კაცობრიობისათვის ახალი წელი დიდი ხანია იქცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საზოგადო მოვლენად. ტრადიციულად, ის, თუ როგორ შევხვდებით ახალ წელს, განსაზღვრავს დამდეგი წლის ბარაქიანობას, ბედს, კეთილდღეობას ოჯახში.

ბავშვობიდან ტკბილად მახსოვს წინასაახალწლო სამზადისი ოჯახში, სახლისა და კარმიდამოს დასუფთავება,სხვადასხვა ფორმის ცხოველებისა და ფრინველების ფორმის კვერების დაცხობა, საახალწლო ნაძვის ხის მორთვა...

ნუ მოგიშალოთ ღმერთმა ფეხბედნიერი და ხელდამშვენებული მეკვლე ხონჩაზე დაწყობილი დიდძალი სანოვაგით, გქონოდეთ უხვი მოსავალი,ულევი შინაური პირუტყვი და ფრინველი,ხელადა ღვინო და ნასუქი მამალი. მოგილოცავთ და ჩემ საახალწლო სურვილებს რაჭული „მაკვრიელის" (სამეკვლეოდ) სათქმელი ლექსით გამოთქვამ:

„ახალ წელიწადს წლის თავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა ტყავ-კაბა-ზარბაბთითამცა;
ცხენზედაც მოგადგებიან მშვილდისრიანნი ხმლითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან თავ-ოქრო-გვირგვინითამცა.
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალგზითამცა,
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვათამც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა".

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზ ჩიტიაშვილი: ხაშურმა უნდა დაიბრუნოს ის ადგილი, რაც მას ისტორიულად ჰქონდა...

ზუსტად ორი თვე გავიდა, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობამ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში, მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე, ხმა თენგიზ ჩიტიაშვილს მისცა. თითქმის ორი თვეა ბატონი თენგიზი მერის მოვალეობის შესრულებას შეუდგა და იმ ურთულესი მისიის განხორციელება დაიწყო, რასაც მას ეს თანამდებობა ავალდებულებს. დღეს გთავაზობთ მასთან ინტერვიუს და ჩვენს მკითხველს შესაძლებლობა აქვს, უფრო ახლოს გაიცნოს მერი და რაც მთავარია, ბევრ ისეთ კითხვაზე მიიღოს პასუხი, რომელიც აქტუალურია ქალაქისთვის თუ მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის.

- ბატონო თენგიზ, რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ ხაშურის მერი?

–ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, სიმართლე რომ გითხრათ, არასდროს მიფიქრია, რომ პოლიტიკაში მოვიდოდი, ბოლო წლების განმავლობაში, სხვა მიმართულებით, კერძო სექტორში ვიყავი ჩართული. ბატონი ზაალის არჩევნების შემდეგ,დადგა ეს საკითხი. რაღაც პერიოდი ვფიქრობდი,მიმეღო თუ არა ეს გადაწყვეტილება. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და სულ ვფიქრობდი, რომ ცხოვრების რაღაც ეტაპზე,დავბრუნდებოდი საცხოვრებლად. მანამდე,ვმუშაობდი ერთ-რთ კომპანიაში,უსაფრთხოების სამსახურის უფროსად. თუმცა,იყო ხაშურის მერი,განსხვავებული პასუხისმგებლობაა და ვფიქრობ,ძალიან დიდიც.

- როგორ ფიქრობთ, მერი პოლიტიკოსია თუ უფრო მენეჯერი?

–მერი პოლიტიკური თანამდებობაა, კანონითაა განსაზღვრული ეს დეფინიციაცია.

- როგორი გუნდი დაგხვდა, რა მოლოდინი გქონდათ და თუ აპირებთ განახლებას?

–სხვათაშორის, ბევრი პროფესიონალი დამხვდა, რაც ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, სიახლეები აუცილებელია. ამ ეტაპზე, ვიცე მერი არ აგვირჩევია. ვაპირებთ სტრუქტურულ რეორგანიზაციას, მინდა, რომ მოქნილი სტრუქტურა ჩამოყალიბდეს. მოსახლეობა ელოდება ცვლილებებს, ძალიან დიდი სამუშაოა ამ მხრივ გასაწევი.

- იმ მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რაც თქვენ დაგხვდათ, როგორც მერს, რას თვლით, ყველაზე დიდ გამოწვევად?

–ხაშურმა უნდა დაიბრუნოს ის ადგილი, რაც მას ისტორიულად ჰქონდა. თუნდაც მისი სამრეწველო,ტურისტული მნიშვნელობა,რომელიც 90-იან წლებში დაკარგა. რთულია, სამრეწველო მიმართულებით განვითარება, რადგან ეს მუნიციპალიტეტის მოვალეობაში არ შედის, მაგრამ ვეცდებით,ბიზნესს შევუ-

(დასასრული II გვერდზე)

თენგიზ ჩიტიაშვილი: ხაშურმა უნდა დაიბრუნოს ის ადგილი, რაც მას ისტორიულად ჰქონდა...

(დასასრული)

წყოთ ხელი, შევქმნათ მათთვის საინტერესო ბიზნეს სგარემო. მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება, თუნდაც სპორტული ტურიზმის. ხაშური ძალიან სტრატეგიული ქალქია, თავისი ადგილმდებარეობით, სოფლებით, რომლებსაც თავისი ფუნქცია აქვს მუნიციპალიტეტის განვითარებაში. სპორტული ტურიზმის განხორციელება ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო და პერსპექტიული იქნება. ამის განსავითარებლად, ამ ეტაპზე, ინფრასტრუქტული პროექტების განვითარება და სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაა საჭირო. ეს ავტომატურად, კარგ ბიზნესგარემოს შექმნის ინვესტორებისთვის, გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები. ძალიან კარგი და გონიერი ახალგაზრდობაა ხაშურში და მჯერა მათი მომავლის.

- ბიუჯეტი წელს, გაზრდილია 3 მილიონი ლარით. როგორ მოხდება პრიორიტეტების გადანაწილება, რომელ სექტორზე წავა თანხების ნაწილი?

–ბიუჯეტის ზრდა ცენტრალური ხელისუფლების დამსახურებაა. იქიდან გამომდინარე, რომ მომავალ წელს იწყება წყლის სისტემის რეაბილიტაცია(22 აპრილს უკვე გათვალისწინებულია იმ კომპანიასთან ხელმოწერა, რომელიც უშუალოდ დაიწყებს საქმიანობას), გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი და შესაბამისად, მოხდება ყველაფერი. ზუსტად აქედან გამომდინარე, აქცენტები გავაკეთეთ სოფლებზე, სადაც გავაგრძლებთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი სოფელია დარჩენილი. გარდა ამის, დავიწყეთ ხიდების რეაბილიტაცია, ტაბიძე, რუსთაველი და აღმაშენებელი, აგრეთვე, სურამშიც. გარდა ამის, მოხდება ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიის განათება. ვფიქრობთ, რუსთაველის ქუჩის განტვირთვას, რაც დამატებით, აღმაშენებლის ქუჩის ათვისება-განვითარება მოხდება. ხაშურს აქვს ისეთი დაგეგმარება, არ გაჭირდება ამ პროექტის განხორციელება. გარდა ამის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცვლილებებია სოციალურ პაკეტებთან დაკავშირებით. წელს 799 000 ლარია გამოყოფილი, ესაა უფასო სასადილო და მედიკამენტებით თანადაფინანსება. საბავშვო ბაღების დაფინანსებაც გაიზარდა, რაც შეეხება დასუფთავების სამსახურს, მინდა, რომ ეს სამსახურიც ეფექტური გახდეს თავისი საქმიანობით, რაშიც ჩვენი მონაწილეობაც ძალიან მნიშვნელოვანია. წელს, პირველად, საზოგადოებრივი ჩართულობისთვის და მისი ხელშეწყობისთვის, გამოყოფილია 300 000 ლარი. მოხდება მოქალაქეთა თავმოყრა, სადაც ვიმსჯელებთ, როგორ განვავითაროთ ჩვენი მუნიციპალიტეტი და შესაბამისად, დავსახავთ სამოქმედო გეგმებს.

- როგორი იქნება მოსახლეობასთან კომუნიკაცია?

–მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა თანამშრომლებმა უნდა გაითავისონ ის ფაქტი, რომ ჩვენ ვართ მოსახლეობის მიერ დაქირავებული და მათ უნდა ვემსახუროთ, ეს გვაძლევს თმენის ვალდებულებას. რაც შეეხება ჩემს კომუნიკაციას. მე ახლაც დავდივარ ქალაქში, ვხვდები მოსახლეობას და ეს კავშირი იქნება უწყვეტი და ცოცხალი პროცესი. გარდა ამის, შეუძლიათ ადგილზეც მოვიდნენ და ერთად გავივლით მათ პრობლემებს და გავეცნობი მათ საჭიროებებს.

- თქვენი, როგორც მერის ოცნება?

–ძალიან დიდი გეგმები გვაქვს, მესმის, რომ ოთხი წელი არაა საკმარისი, თუმცა, ძალისხმევას არ დავიშურებ იმისთვის, რომ ყველა პოტენციალი ჩავრთო, მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში, რაც მოსახლეობის თანადგომის გარეშე, წარმოუდგენელია.

- სად ხვდებით ახალწელს?

–წელს, ჩემს ხაშურელებთან ერთად, გარეთ შევხვდები ახალ წელს

- მეკვლეობის ტრადიციას თუ იცავთ?

–მეკვლეობის ტრადიციაც გვქონდა. თუმცა, წლების განმავლობაში, სამსახურში მიწევდა შეხვედრა და საახალწლო ტრადიციები ბუნებრივად ირღვეოდა. მეკვლეც ვყოფილვარ, ბუნებრივია, მაგრამ ეს ძალიან ადრე იყო, სტუდენტობის მეგობრებში, ჩემი სტუდენტობის მეგობრები იყვნენ მეკვლეები. ამ ეპიდ. სიტუაციამ ყველაფერი შეცვალა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- საახალწლო საოჯახო ტრადიციები თუ გაქვთ?

–არც აქ გამოვირჩევით დიდი მრავალფეროვნებით. მხოლოდ საჩუქრებს ვუკეთებთ ერთმანეთს ოჯახის წევრები.

- რომელი სასმელით ილოცება ოჯახი?

–ღვინო მიყვარს, უფრო მეტად, კახურ ღვინოს ვანიჭებ უპირატესობას. მე ადარ ვაყენებ, სამწუხაროდ, თუმცა, იყო ამის დროც, როცა ყველა პროცესს თვითონ ვასრულებდი.

- თქვენი ზოდიაქოს ნიშანი?

–ტყუპები ვარ...

- ოო, 2022 წელი ტყუპებისთვის საკმაოდ წარმატებულია და ბევრი საინტერესო ცვლილებაა მოსალოდნელი...

–ჩემი მთავარი ოცნებაც ეგაა სწორედ, რომ ჩვენმა ქალაქმა და მთლიანად მუნიციპალიტეტმა სასიკეთო ცვლილებები იგრძნოს.

- მადლობა ინტერვიუსთვის და გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

–მეც გულწრფელად ვულოცავ თქვენს მკითხველებს, ყველა ხაშურელს და მთელ მოსახლეობას.

თ. ჯავახიშვილი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მთლიანად მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვას დაეთმო. ჩვენი მკითხველისათვის ცნობილი იყო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ერთი თვის უკან გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. მოქალაქეებს შეეძლოთ თავისი მოსაზრებები დაეფიქსირებინათ ბიუჯეტის სხვადასხვა პარამეტრების შესახებ და, სხვათაშორის, ბევრმა გამოიყენა კიდეც კანონით გათვალისწინებული ეს უფლება და საკრებულოს წერილობით მიაწოდა შენიშვნები.

სხდომას უძღვებოდა სკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლეპარტელიანი. სხდომას არ ესწრებოდნენ პარტია „საქართველოსთვის“ წევრები. პირველი სხდომის შემდეგ, მათი სიტყვით გამოსვლის პათოსიდან გამომდინარე, მართლაც გასაკვირი იყო, რომ ასეთ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის განხილვას თუ ფორმულირებას მათ იგნორირება გაუკეთეს.

სხდომის დასაწყისში სიტყვით გამოვიდა მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი.

„დღეს ჩვენ საკრებულოს წარვუდგენთ ბიუჯეტს, რომლითაც მომავალი ერთი წელი უნდა ვიხელმძღვანელოთ, აღნიშნა მან, –2021 წელი ძალიან რთული გამოდგა ყველანაირი თვალსაზრისით. ვებრძოდით უხილავ მტერს კოვიდ-19-ს და ეს ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. აღნიშნულმა ვირუსმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა და ქვეყანას არაერთი პროექტს გადავადება მოუწია. მჯერა, რომ 2022 წელს, ერთიანი ძალისხმევით, ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას შევძლებთ.

2022 წლის ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, თითქმის მილიონ ნახევარი ლარით არის გაზრდილი. აქედან 6 602 000 ლარი ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაიხარჯება. სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზების მოასფალტება და სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია - ეს არის ჩვენი პრიორიტეტი. პანდემიამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რამდენად საჭიროა დასასვენებელი სივრცეები. ამ მიმართულებით წელს არაერთი პროექტი განხორციელდა, ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

799 800 ლარი დაიხარჯება სოციალურ პროგრამებში. ეს იქნება უფასო სასადილო, მედიკამენტებით დახმარება თუ თანადაფინანსება. 2 670 000 ლარია გამოყოფილი “ხაშურსერვისისთვის“. ერთად ჩვენ შევძლებთ ჩვენი ხაშური სისუფთავის ქალაქად ვაქციოთ.

გაზრდილია საბავშვო ბაღების დაფინანსება და 2 893 000 ლარს შეადგენს.

ბიუჯეტით დაფინანსდება ხაშურის 3 ხიდის და სურამის 1 ხიდის რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრისა და სურამის ციხის განათება. ქალაქის განტვირთვის მიზნით გამოცხადებულია ტენდერი ქალაქის ქუჩების საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესყიდვაზე.

წელს პირველად 300 000 ლარია გამოყოფილი მოქალაქეთა ჩართულობისთვის. აღნიშნული თანხით მოქალაქეთა მონაწილეობით მოხდება სხვადასხვა საჭიროებების განხილვა და მათი დაფინანსება.

2022 წლის ბიუჯეტი 21 353 100 ლარს შეადგენს. ამ თანხაში არ შედის რეგიონული განვითარების ფონდის, სოფლის პროგრამების და სკოლების განვითარების ფონდის თანხები.

იმედი მაქვს, ახალი საკრებულო მხარს დაუჭერს წარმოდგენილ ბიუჯეტს და ერთად შევუდგებით ჩვენი ქალაქის განვითარებას“ - აღნიშნა მერმა სიტყვით გამოსვლის ბოლოს.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესახებ დაწვრილებით განმარტება მისცა მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა, რომლის გამოსვლის შემდეგ დაიწყო დებატები. დებატებში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. გამოითქვა შენიშვნებიც, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, გათვალისწინებული იქნება. კენჭისყრაში, რომელიც ღია სისტემით ჩატარდა, მონაწილეობა არ მიიღეს ერთიანი ნაციონალური პარტიის წარმომადგენლებმა. კენჭისყრა მუხლობრივად ჩატარდა და ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხმის მიცემის შედეგად დამტკიცდა კიდეც.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ, დეპუტატებს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და იმედი გამოთქვა, რომ 2022 წლის საკებულოს ნაყოფიერი მუშაობა გარანტი იქნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური თუ სოციალური წინსვლისათვის.

2022 წლის ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური ნიშნებისთვის: გაგანებივრებთ თუ არა წლის მბრძანებელი? და რა სფეროში გელით წარმატება?

2022 წელი მოდის და ყველას აინტერესებს, როგორი იქნება ახალი წელი, რომლის მმართველიც აღმოსავლური კალენდრით შავი ვეფხვი იქნება. ვეფხვი გამარჯვებას ჰპირდება ამბიციურ, მიზანმიმართულ ადამიანებს, რომლებიც დიპლომატიურად მოქმედებენ და ინტუიციასა და ინტელექტს ეყრდნობიან. ვეფხვს რომანტიკული და ბედნიერი ქორწინება სურს. ზოგადად, წელს მეტი დრო და ყურადღება უნდა დაუთმოთ ოჯახს, სახლს, ბავშვებს. იზრუნოთ ოჯახური ღირებულებების შენარჩუნებაზე, წინაპრების ტრადიციების აღდგენაზე. მარტოხელებს რომანტიკული ნაცნობობა გელით. მოიმატებს ხანმოკლე რომანების რაოდენობაც. 2022 წელი საუკეთესოა ჩასახვისა და შვილის გაჩენისთვის. ოჯახში "ვეფხვის" დაბადება აღმოსავლეთში ბედნიერი ნიშანია.

ვირთხა

დიდ გამარჯვებას ნუ ელით. წელს უფრო უნდა გასცეთ, ვიდრე მიიღოთ. ბიზნესისა განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში ახლო მეგობრები და ნათესავები დაგეხმარებიან. პირად ცხოვრებაში უსიამოვნება მომენტები გელით. განსაკუთრებით, თუ მერყევ და უპასუხისმგებლო პარტნიორს დაუკავშირებთ ბედს. ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. ფინანსურ სიტუაციაში ზარალი უფრო მეტი გექნებათ,ვიდრე მოგება. იმისათვის, რომ ვალებში არ გადავარდეთ, ძლიერი ნებისყოფა და მოთმინება უნდა გამოავლინოთ. გირჩევთ,მოძებნოთ ისეთი სამსახური,რომელიც პერსპექტიულიც იქნება და მატერიალურ კეთილდღეობასაც მოგიტანთ. თუ სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ხართ, იყავით კოლეგების მიმართ დიპლომატიური, ბრძნული გადაწყვეტილებები მიიღეთ და ხშირად გაიღიმეთ. ზოგადად, უმჯობესი იქნება, თუ პოზიტიური იქნებით გარშემო მყოფებთან.

ხარი

უნდა იბრძოლოთ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, მზის ქვეშ თქვენი კუთვნილი ადგილი დასაკავებლად, არ იზარმაცოთ. მოსალოდნელია ცვლილება კარიერის სფეროში. მიიღებთ კითხვაზე პასუხზე,რაც დიდი ხანია გტანჯავდათ. მიმართეთ ენერგია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, დაწინაურებისკენ. ზოგიერთმა შეიძლება, გაიუმჯობესოთ საცხოვრებელი პირობები ან ახალი ბინის მფლობელი გახდეთ. პირად ცხოვრებაში სიფრთხილე და დაკვირვება გმართებთ. იყავით მომართული ურთიერთობაში დიდი ხნით რომანტიკის შენარჩუნებაზე. კარგი წელია დაოჯახებისთვის. მიუხედავად მცირე დაბრკოლებებისა, საინტერესო მოვლენებიც ხშირად გექნებათ და წარმატების შანსიც, მთავარია, გულით მოინდომოთ.

ვეფხვი

ვეფხვი ვეფხვებს ყველაფერ საუკეთესოს მოგიტანთ. წარმატება გელით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ვეფხვი გპირდებათ კარიერულ წინსვლას, ფული ყველაფერზე გეყოფათ, პირად ცხოვრებაში ჰარმონია დაისადგურებს. თუმცა, კონკურენტებთან სიფრთხილე გმართებთ. მათგან მოსალოდნელია ტყუილი და ღალატი. ისწავლეთ გარშემო მყოფებთან მშვიდად თანაცხოვრება. დაუმეგობრდებით გავლენიან ადამიანებს. თუ სწორად დაგეგმავთ, ყველა სიტუაციიდან გამარჯვებული გამოხვალთ. მოერიდეთ ფულის დაბანდებას საეჭვო საქმიანობაში. რომანტიკული განწყობა მოქმედების,ახალი მწვერვალების დაპყრობის სურვილს გაგიჩნეთ. ზოგიერთმა შეიძლება უცხოელზე გადაწყვიტოს დაქორწინება. დაწყვილებულების ცხოვრებაში მოიმატებს ჰარმონია,ერთმანეთის გაბედნიერების

კურდღელი/კატა

ნუ იცხოვრებთ მოლოდინსა და ილუზიაში. ყველაფერი დეტალურად უნდა გქონდეთ გათვლილი. ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს, მინიშნებებს. ეს დაგიცავთ შეცდომებისა და იმედგაცრუებისგან. რეალურად შეაფასეთ საკუთარი შესაძლებლობები, მოვლენები და გარშემო მყოფები. ამასთან, იყავით ინფორმირებულიც, გეგმაზომიერიც. წარმატება გელით სოციალურ და მატერიალურ სფეროში. სხვათა შორის, თუ ზომიერად განკარგავთ ფინანსებს, ფულის დაგროვებასაც შეძლებთ, რაც თვითრწმენას კიდევ უფრო მოგიმატებთ. კარიერაში გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერა გელით. მათი დახმარებით მიზნების განხორციელებას შეძლებთ. გააზრებულად მოაწერეთ ხელი ახალ ხელშეკრულებებს და ჩაერთეთ ახალ პროექტებში. ქარაფშუტული ნაბიჯის გადადგმა სიყვარულშიც კი არ გეპატიებათ. დაწყვილებულების ცხოვრებაში იმატებს სირთულეები. ამიტომ, მაქსიმალური სიდინჯე გმართებთ. გახსოვდეთ, რომ ნამდვილი გრძნობა არ ქრება და უსიამოვნებების ერთად გადალახვა კიდევ უფრო შეგაკავშირებთ.

დრაკონი

პროფესიულ სფეროში გრანდიოზული ცვლილებები გელოდებათ. წინსვლა ელით გამოცდილ და კარიერაზე მომართულ ნიშნებს. მოერიდეთ ჭირვეულობას, ილუზიებში გადავარდნას და იყავით მომართული გამარჯვებაზე. ზოგიერთი გადაწყვეტს საკუთარი თავისა და ძალის ახალ სფეროში მოსინჯვას. ნუ შეუშინდებით სიახლეებს, სირთულეებს, ყველაფერი გამოგივათ. ჩაერთეთ მსხვილ პროექტებში. თუმცა, ფინანსური საკითხები წინასწარ განიხილეთ. ზოგადად, 2022 წელს ფული ზომიერად უნდა ხარჯოთ. მოერიეთ კონფლიქტს გარშემო მყოფებთან. ნუ იქნებით პრეტენზიული და ეჭვიანი საყვარელი ადამიანის მიმართ.

გველი

თუ პროფესიაში პროფესიონალიზმსა და ცოდნას გამოავლენთ, არანაირი საფრთხე არ გემუქრებათ უფრო მეტი, გეძლევათ შანსი, რომ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოთ, აიმაღლოთ ცოდნა, კვალიფიკაცია. არ გირჩევთ კოლეგებთან წინასწარ ტრაბახს,ყველა სიახლე წარმატებულად დასრულებული პროექტის შემდეგ აცნობეთ. 2022 წლის მმართველი ფულის ფლანგვას არ გირჩევთ, აი, დაბანდება კი დეტალურად უნდა გათვალოთ, უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში წყალქვეშა ქვებს ოსტატურად უნდა აუაროთ გვერდი. იყავით უფრო კეთილი და გულისხმიერი მის მიმართ.საკუთარი თავი კი ხშირად გაინებივრეთ გამაჯანსაღებელი პროცედურებით, ახალი სამოსით.

ცხენი

გულახდილად რომ გითხრათ, დაიღალეთ პრობლემებისა და წარუმატებლობისგან. 2022 წელს ყველა დაბრკოლებისაგან გათავისუფლებით. წარმატება გელით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. პირად ცხოვრებაში - თავგადასავლები და რომანტიკა. სამსახურში - წარმატება და პოზიტიური ემოციები. რთულ სიტუაციებს მარტივად გაუმკლავდებით. ის პროექტები, რომლებიც რაღაც მიზეზის გამო გადადებული გქონდათ, ვეფხვის წელში რეალიზდება და გამარჯვებას მოგიტანთ. გახშირდება მივლინა, მოგზაურობა. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. თუმცა, ხარჯიც მოიმატებს ოჯახთან, სახლის მოწყობასთან, სურვილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული. თუ სტუდენტი ხართ, წარმატებით ჩააბარებთ გამოცდებს, გაივლით გასაუბრებას. გაგიუმჯობესდებათ დამოკიდებულება საყვარელ ადამიანთან, თუ კრიტიკულ მომენტში ემოციების მოთოკვას ისწავლით.

თხა

საინტერესო, გავლენიან ადამიანებს გაიცნობთ და პერსპექტივებიც გამოგიჩნდებათ. დააგროვილ გამოცდილებას კი ახალ საქმეებში,თანამდებობაზე გამოიყენებთ. კარგი იქნება, სწავლა, პროფესიის დახვეწა. ნუ გაგიკვირდებათ, თუ გამოგიჩნდებიან კონკურენტები და მოშურნეები. თუ გეგმა დეტალურად და გონივრულად გექნებათ შედგენილი და მის განხორციელებაზე დროსა და ენერგიას არ დაუშურებთ, ვერავინ ვერაფერს დაგაკლებთ. ფული უნდა დააბანდოთ სარფიან საქმიანობაში. მოერიდეთ ფულის სესხებას მეგობრებისგან, უმჯობესია, კრედიტი აიღოთ. თუმცა, ეკონომიურობა ყველაზე კარგი იქნება. მარტოხელებს რომანტიკული ნაცნობობა გელით, თუმცა, ამ სფეროშიც გმართებთ დაკვირვებულობა.

მაიმუნი

საინტერესო და აქტიური წელი გელოდებათ. უნდა მოინდომოთ, რომ ღირსეულად გადალახოთ სირთულეები. მოგინდებათ პირადი ტერიტორიის დაცვა. სასურველის მისაღებად უნდა გამოიყენოთ პირადი კავშირები. ავტორიტეტს აიმაღლებთ,თუ გავლენიან ადამიანებთან იმეგობრებთ. ნუ დაუპირისპირდებით კონკურენტებს, მტრებს. არ გირჩევთ ახალ სამსახურში თქვენი წესების დამყარებას. უმჯობესია, დიპლომატიურად იმოქმედოთ. პროფესიაში მოკავშირეებს მტრად ნუ გაიხდით. შეინარჩუნეთ ის რაც გაქვთ, იყავით მომთმენი. 2022 წელი დაგამახსოვრდებათ მივლინებებით. ფინანსები თავზე არ გადაგივათ. თუ დანაზოგი გაქვთ, რამე კარგ საქმიანობას მოახმარეთ.

მამალი

ყველაფერი ახალი და არაორდინარული დაგაინტერესებთ. ვერაფერი გაიძულებთ, რომ წარსულში დაბრუნდეთ. პირიქით, მოგინდებათ გლობალური მიზნების დასახვა და მათი განხორციელება. გააქტიურდით, რომ საქმემ მეტი შემოსავალი მოგიტანოთ. ვერ გეტყვით, რომ ყველაფერს მარტივად მიაღწევთ, მაგრამ შედეგით აუცილებლად კმაყოფილი დარჩებით. დახმარებისთვის მხოლოდ ახლობლებს მიმართეთ, ვისი იმედიც შეიძლება გქონდეთ. 2022 წელს მეტად უნდა იზრუნოთ საკუთარი თავის გაუმჯობესებაზე. გაქვთ შანსი, რომ გაიმარჯვოთ. მთავარია, მოინდომოთ. ვეფხვის წელში უნდა იზრუნოთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კარიერულ წინსვლაზე. აკონტროლეთ ბიუჯეტი, მოერიდეთ დაუფიქრებელ ხარჯს. თუ სწავლას გადაწყვეტთ,ფულის ხარჯვა მოგიწევთ. პირად ცხოვრებაშიც გელით ცვლილება - ახალი პარტნიორი ან დაშორება არსებულთან.

ძაღლი

2022 წელი იქნება სიურპრიზებისა და მოულოდნელი სიტუაციების. მზად იყავით ცვლილებებისთვის,რომელსაც იღბალი გიგზავნით. უამრავი სასიხარულო მომენტი გექნებათ. მოგინდებათ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისთვის,კარიერული წინსვლისთვის,ფინანსური კეთილდღეობისთვის. ვეფხვი მუდამ დაგეხმარებათ. თუ ფულს სარფიან საქმიანობაში დააბანდებთ, გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. ნუ იტყვით უარს საინტერესო შემოთავზებებზე. თუ ხელშეკრულებას გააფორმებთ, სასურველი ნივთების შეძენას შეძლებთ. ახლობლები ხშირად მოგმართავენ დახმარებისა და რჩევისთვის პირად ცხოვრებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. თუმცა, ნურც საკუთარ თავს დაივიწყებთ. რომანტიკული ურთიერთობები გელით, მაგრამ თუ არ მოისურვებთ, ვერც დაქორწინდებით. გირჩევთ, დაიცვათ კვების, ძილისა და დასვენების რეჟიმი.

ღორი

თუ მოინდომებთ და გააქტიურდებით, მწვერვალებს მიაღწევთ. შანსები და შემოთავაზებები საკმაოდ გექნებათ. მთვარია, მომენტი არ გაუშვათ ხელიდან. არ გამოვლინოთ მღელვარება და ჭოჭმანი. გაბედულად იმოქმედეთ, თქვენ ყველაფერი გამოგივათ. აიყვანეთ საკუთარი თავი ხელში და მიიღეთ კონკრეტული, სწორი გადაწყვეტილებები. წარმატება გელით სამსახურშიც, ბიზნესშიც და პირად ცხოვრებაშიც. ძველი პრობლემები წარსულში დარჩება. მარტივად შეძლებთ სირთულეების გადალახვას და პატიოსანი ქცევით გარშემო მყოფებში ავტორიტეტსაც კი აიმაღლებთ. ზოგიერთმა შეიძლება ფულის დაბანდება გადაწყვიტოთ და გონივრული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ კიდეც. შანსი მოგეცემათ, გაისტუმროთ ძველი ვალები. სიყვარულის ბუშტი გაგისკდებათ იმ ადამიანის მიმართ, ვისთანაც დიდი ხანია მეგობრობთ ან ერთად მუშაობთ. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. ნუ გადატვირთავთ ორგანიზმს, კარგი იქნება დიეტის დაცვა.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42)

ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში ბოლშევიკები არ მოიპოვებიან და ის (მარქსისტთა ორგანიზაცია) მენშევიკ-ინტერნაციონალისტურ ხაზს ადგია... საერთოდ, მიუხედევად მრავალ დაბრკოლებათა, მუშაობა სასურველად მიდის“;

1917 წლის 29 დეკემბერს შედგა ქალაქის საბჭოს მუშათა სექციის (კომისიის) სხდომა, სადაც განხილულ იქნა გორის ინტერპარტიული ყრილობის შედეგები გორის მაზრის საბჭოების ცენტრის შექმნისა და თავდაცვის საკითხების შესახებ.

ნ. პატრიძემ აღნიშნა, რომ 28 დეკემბერს გორში გაიმართა სხვადასხვა რევოლუციური ორგანიზაციების ინტერპარტიული ყრილობა, რომლის მიზანი იყო ერთი მთლიანი რევოლუციური ორგანოს – ინტერპარტიული თავდაცვის კომიტეტი შექმნა. ასეთი კომიტეტის შექმნა ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ „დღეს, როდესაც მთელი კავკასია და კერძოთ კი გორის მაზრა განუსაზღვრელ ანარქიას განიცდის, როდესაც უპასუხისმგებლო პირთა თარეში თანდათანობით ფართოვდება და მათ წინააღმდეგ შესაფერი ძალა არ არის დაპირისპირებული“ ყრილობამ საჭიროდ სცნო გორის მაზრის რევოლუციური ორგანიზაციების ძალთა მობილიზაცია „ერთი მთლიანი რევოლუციონურ ფრონტის აღდგენისაკენ“

ყრილობამ „საჭიროდ სცნო სახალხო შეიარაღება.“ ნ. იმნაიშვილის წინადადებით გადაწყდა შექმნილიყო გორის მაზრის ინტერპარტიული თავდაცვის კომიტეტი, რომელიც დაექვემდებარებოდა გორის მაზრის საბჭოს და იმუშავებდა მისი ხელმძღვანელობით (დირექტივებით). თავდაცვის კომიტეტში, რომელიც 15 კაცისგან განისაზღვრა, უნდა შესულიყვნენ ქალაქის თვითმმართველობის, პარტიული ცენტრისა და საბჭოების წარმომადგენები.

ხაშურის საბჭოს მუშათა სექციამ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია გორის მაზრის საბჭოების ცენტრის შექმნა.

თავდაცვის შესახებ მოხსენებაში ლევან მეტრეველი აღნიშნავდა რომ: „საჭიროა წითელი გვარდიის საქმის მოწესრიგება და მათი მოქმედების გარკვეულ ფარგლებში ჩამოყალიბება, ვინაიდან დღეს ისინი დიდ არევ-დარევას განიცდიან“. მან წამოაყენა წინადადება დროებითი კომისიის შექმნისა და გვარდიის უფროსის არჩევის შესახებ.

მუშათა სექციამ გადაწყვიტა, ვინაიდან ახლო მომავალში უნდა შექმნილიყო ქალაქის თავდაცვის კომისია, მის შედგენამდე არჩეულიყო წითელი გვარდიის დროებითი ხელმძღვანელი კომისია და მისი უფროსი. წითელი გვარდიის უფროსად აირჩიეს ვ. მაჭავარიანი, ხოლო თავდაცვის დროებითი კომისიის წევრებად კორძაია, ფაჩულია, მეტრეველი და პატარიძე.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ხაშურში შეიქმნა მუშათა ერთ-ერთი პირველი წითელი გვარდია.

„როგორც კი დაიბადა აზრი მუშათა წითელი გვარდიის შედგენის შესახებ, ხაშურის მუშები მაშინვე გამოეხმაურენ თფილისის ამხანაგებს და რამდენიმე დღის განმავლობაში შეადგინეს გვარდია ორასი კაცისგან. ამ გვარდიის შედგენა თვითონ მუშებმა იკისრეს. გვარდია დაყოფილია ათეულებათ, ათეულებს მეთაურობს და პასუხისმგებელია ორგანიზაციის წინაშე ათისთავები. ყველა ათეულები ერთად კავშირდებიან პირველ მოწოდებისამებრ და საგანგებოდ არჩეულ თავდაცვის კომისიის ხელმძღვანელობით გამოდიან სამოქმედოთ. ამ კომისიის გარეშე არცერთ გვარდიელს უფლება არა აქვს ცალკე იმოქმედოს და თუ რომელიმემ უდალატა შემუშავებულ პრინციპებს, მას იარაღს აჰყრიან და გვარდიიდან აძევებენ. გვარდიის მოვალეობაა უმთავრესად რევოლუციის დაცვა, შემდეგ კი წესიერების აღდგენა და დაცვა მთელ რაიონში და თუ საჭიროებამ მოითხოვა სხვათა დახმარება“

ხაშურის მუშათა გვარდია მოქმედებდა არა მარტო ხაშურში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გვარდიელების დახმარებით აღდგა წესრიგი ხაშურ-ბორჯომის რაიონის რკინიგზაზე, რის შედეგადაც, დასძენს გაზეთი „ერთობა“ - „დღეს გულის ამღრევი სურათები აღარ ხდება მატარებლებში“.

ხაშურის გვარდია გამოეხმაურა ახალციხის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი აქაურ სიახლეებს.

„ახალციხელების მოწოდებისამებრ, ყველაზე უწინ, ხაშურის გვარდია გაემგზავრა დასახმარებლად, ჩავიდნენ თუ არა ბორჯომში, ახალციხეში წესიერება აღდგენილ იქნა, რადგან ამ ძალას ანგარიში გაუწიეს თათრებმა და მაშინვე სამშვიდობო მოლაპარაკებას შეუდგნენ. თუმცა, გვარდიელებს ბორჯომის იქით არ დასჭირვებიათ წასვლა, მაგრამ მათი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალციხეში სასურველი სიწყნარე ჩამოვარდა“.

1918 წელს, გაზეთი „ერთობა“ ხაშურის გვარდიის შესახებ წერდა: „ჯერ აზრადაც არავის ჰქონდა გვარდიის დაარსება სხვაგან, რომ ხაშურში შეერთებულ საბჭოს ინიციატივით შედგა წითელგვარდიელთა რაზმი, რიცხვით 40 კაცი. ამიტომ დღიდან გვარდიის დაარსებისა, ის მუდამ შეერთებულ საბჭოს განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა, გვარდიაც საბჭოს მიერ შემუშევებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. როდესაც ადგილობრივად წითელ გვარდიას აწყობდენ, საბჭოს მხედველობაში ჰქონდა ის, რომ იქ შესულიყვნენ ისეთნი, რომელნიც ჭეშმარიტად დაიცავდენ რევოლუციას, შეებრძოლებოდა ყველა იმათ, ვინც კი გაბედავდა თავისუფლების ჩირქის მოცხებას.

მართლაც, ხაშურის გვარდიამ ამ მხრივ დიდი სახელი დაიმსახურა როცა გასაჭირი მოელოდა თფილისს, ქუთაისს და თვით ხაშურსაც, მან შესაფერი ბრძოლის უნარი გამოიჩინა“.

მაგრამ, როგორც ჩანს, გვარდია ყოველთვის არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. რადგან მას ნებაყოფლობითი მომენტი დაჰკრავდა გვარდიელებში ხშირად მოისუსტებდა დისციპლინა. იყო გარკვეული წინააღმდეგობები გვარდიასა და მის შტაბს შორის. გვარდიის ზოგიერთი წევრი სავალდებულოდ არ მიიჩნევდა ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობას, თუმცა მასში ყველა რევოლუციური ორგანიზაციებიდან შედიოდნენ წარმომადგენლები.

1918 წლის 24 თებერვალს გაიმართა ხაშურის წითელი გვარდიის კრება, რომელზეც განხილული იქნა შექმნილი პრობლემები. გვარდიის შტაბი კრებამდე გადადგა. ქალაქის ნ. იმნაიშვილმა განაცხადა, რომ კრების მონაწილე გვარდიელები საკითხს სერიოზულად თუ არ შეხედავდნენ, მაშინ ახალად არჩეულ შტაბსაც იგივე ბედი ეწევა, რაც მის წინამორბედს.

კრებაზე გაიმართა ცხარე კამათი, გადაწყვიტეს შტაბის თითქმის უცვლელად დატოვება (გარდა ორი წევრისა), მაგრამ შტაბის ყოფილმა წევრებმა, გარდა ერთისა, მუშაობაზე უარი განაცხადეს შეკითხვაზე თუ რატომ დატოვეს შტაბი მისმა წევრებმა მასიურად, მათ მიზეზად განაცხადეს, რომ ისინი შტაბის წევრებად „არ ვარგიან“. ნიკიფორე იმნაიშვილი შეეცადა მდგომარეობის განმუხტვას და შტაბის ყოფილ წევრებს სთხოვა ყურადღება არ მიექციათ იმ ბრალდებებზე, რომლებიც პირად ინტერესებზე იყო აღმოცენებული.

ამის შემდეგ სიტუაცია არა თუ განიმუხტა, არამედ უფრო მეტად დაიძაბა, რასაც ხელი შეუწყო ერთ-ერთი გვარდიელის განცხადებამ, რომ შტაბის გადადგომა სრულებით არ არის დაკავშირებული მათ მიერ დასახელებულ მიზეზებზე. თვით შტაბის შიგნით არის დაპირისპირება და „მოუხერხებელია მუშაობაო“

გაირკვა, რომ შტაბის ზოგიერთი წევრი უკმაყოფილო იყო ნ. იმნაიშვილის მოქმედებით. (ნ. იმნაიშვილს-თ.ლ.) როცა მის შეკითხვაზე მართალი იყო თუ არა ეს, შტაბის წევრებმა, ერთის გარდა, ყველამ სიჩუმით უპასუხა. ამის შემდეგ ნ. იმნაიშვილმაც უარი განაცხადა შტაბში მუშაობაზე და დატოვა კრება.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ „დიდი არევ-დარევა და უკმაყოფილება გამოიწვია გვარდიელთა შორის. კრების გაგრძელება შეუძლებელი იყო“ და მეორე დღისთვის გადაიდო.

მხოლოდ 28 თებერვალს გახდა შესაძლებელი კრების გაგრძელება. ამჯერად „კრებამ დაწვრილებით გამოარკვია მიზეზები შტაბის გადადგომისა და ზოგიერთი გვარდიელი თავისი უმგვანო გამოსვლიებისთვის პასუხისგებაში მისცა“. ამავე დროს კრებამ საკითხის გამოსაძიებლად შექმნა კომისია.

მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი გვარდიის ხელმძღვანელი შტაბის არჩევა, რომელშიც შევიდნენ ნ. იმნაიშვილი, კ. ღონღაძე, ვ. ბასილაშვილი, ვ. ზაქარეიშვილი, ვართანოვი, ხვედელიძე და ლუთიძე.

უნდა შევნიშნოთ, რომ წითელი გვარდიის არსებობის მანძილზე, ყოველთვის პრობლემატური იყო მასში დისციპლინა, რამაც შემდგომში უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის მომავალზე.

1917 წლის 31 დეკემბერს გაიმართა ხაშურის ქალაქის საბჭოს „არაჩვეულებრივი“ კრება.

ნ. იმნაიშვილმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ 1918 წლის 2 იანვრიდან ხაშური გამოცხადებულია ქალაქად.

კრებამ მოისმინა სასურსათო კომისიის თავმჯდომარის დ. მელიქაძის მოხსენება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნა, რომ მას დავალებული ჰქონდა სოფლად სურსათის (ხორბალი, სიმინდი, ლობიო და სხვა) შეგროვების საქმე, მაგრამ ეს დავალება „ვერ მოვიყვანეთ სისრულეში, რადგან გლეხობამ ახლოს არ გაგვიკარა“. კრებამ საჭიროდ ჩაითვალა „პურის რევიზიის მოხდენა“ და გადაწყვიტა, რომ ხაშურის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების გადაწყვეტილება სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი.

ნ. პატარიძე მოხსენება გააკეთა მილიციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მილიცია ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ისე როგორც ამას შექმნილი ვითარება მოითხოვს. კრებამ ერთხმად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მილიცია არ გამოასწორებდა მუშაობას, ყველა მათგანი დათხოვნილი იქნებოდნენ სამსახურიდან.

კონტრრევოლუციურმა ძალებმა, 1918 წლის იანვარში, სცადეს ხაშურში ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ მუშათა წითელი გვარდია და ქართული საჯარისო შენაერთი. 19 იანვარს აქ გავრცელდა ხმები, რომ გორიდან მოდიოდა ქართული პოლკი წითელი გვარდიისათვის იარაღის ასაყრელადო.

„ჩვენ, ხაშურის მუშები მოვითხოვთ ამხანაგ ქართველი ჯარისკაცებისგან, რომ ხელი გაუწოდოთ ერთი-მეორეს, არ აგვიყოლიონ კონტრრევოლუციონერებმა და ამით დავიცვათ ჩვენი ძვირფასი ძმების სისხლით მოპოვებული თავისუფლება“

ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობა მალე განიმუხტა

1918 წლის თებერვლის დასაწყისში ხაშურში ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. ბოლშევიკების წაქეზებით 4 თებერვალს, დილის 9 საათზე ხაშურში თავი მოიყარა დემობილიზებულმა ჯარისკაცებმა და გლეხობამ ოსიაურის, იტრიის, ხცისის, ქვიშხეთის და ხაშურის სასოფლო საზოგადოებებიდან, სულ 600-ზე მეტმა კაცმა. მათ მიაშურეს არსენალს და მოითხოვეს იარაღის დარიგება.

ეს იმდენად რთულ ვითარებას ქმნიდა არათუ ქალაქში, არამედ რაიონშიც იმდროინდელი პრესა ვრცლად გამოეხმაურა ამ ფაქტს, ყურადღება მიაქციეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს. „ხაშურის რაიონის თავდაცვის კომიტეტის წევრებმა კორძაიამ და პატარიძემ სთხოვეს ხალხს აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები თითოეული საზოგადებიდან ან სოფლებიდან, რომ შესაძლებელი გამხდარიყო დალაგებით მოლაპარაკება.

ხალხი დასთანხმდა ამაზე...

აირჩიეს თითო სოფლებიდან ორ-ორი კაცი.

კომიტეტის წევრებმა იქონიეს მათთან ერთად მსჯელობა და გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით დაურიგოს საზოგადოებას იარაღი.

ჯერ კიდევ არ გათავებულიყო სხდომა, რომ სოციალ-დემოკრატიული (პარტიის) კლუბს შემოესია ბრბო, რომელიც მოითხოვდა გადაჭრილ პასუხს: გვითხარით, იძლევით თუ არა იარაღს და მერე ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთო.

კომიტეტის წევრები და არჩეული პირები გაემართნენ არსენალისკენ.

გახსნეს არსენალი და შეუდგნენ იარაღის დარიგებას. რადგანაც არსენალში იარაღი ძალიან ცოტა იყო, ასე რომ თითოეულ სოფელს თითო თოფიც კი არ ხვდებოდა, ბრბომ არ დააცალა თავის არჩეულებს იარაღის განაწილება და ძალით შეამტვრია არსენალის კარები;

ბრბო ითხოვდა კომიტეტის წევრებიდან იარაღს, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით გასამართლებით იმუქრებოდა.

გააოხრეს არსენალი, დაიტაცეს ყველაფერი, რაც-კი არსენალში იყო. ასე წარმოიდგინეთ უბრალო ხის ყუთებიც კი არ დაინდეს.

არსენალიდან გამოვიდნენ ქუჩაში, დაუწყეს ერთი-მეორეს იარაღის წართმევა, ატეხეს სროლა და მთელი ქალაქი საფრთხეში ჩააგდეს.

„როგორც გაიგეთ, - წერდა ვარლამ მიქაძე გაზეთ „ერთობაში“, - ვიღაცეებს წინასწარ დაუგზავნიათ წერილები სოფლებში, 4 თებერვალს ხაშურში იარაღს არიგებენ და ჩამოდითო. ხალხისა და რევოლუციის მტრებმა დრო იხელთეს და ასეთი უბედურება მოახდინეს სოფლის გლეხობას თავზე“

მხოლოდ საღამოსთვის მოხერხდა წესრიგის აღდგენა, მაგრამ შედეგი მძიმე იყო. იმავე ვ. მიქაძის ცნობით, ს. გომში შემდგარა ყაჩაღთა 70 კაციანი რაზმი, რომლებიც დადიოდნენ სოფელ-სოფელ და თავად-აზნაურების ოჯახს აწიოკებდნენ.

ბრბო დაჟინებით გაიძახოდა: მოგვეცით იარაღი, თორემ მთელ ქალაქს დავარბევთო.

ვერავითარმა სიტყვამ, ვერავითარმა ახსნა-განმარტებამ მათზე გავლენა ვერ იქონია.

ერთი კომიტეტის წევრი პატარიძე გაემართა ფოსტისაკენ, რომ შეეტყობინებინა თფილისში ამხანაგებისათვის ხაშურში მომხდარი ამბები და დახმარება მოეთხოვა.

ბრბო გადაეღობა მას გზაში და მოსთხოვა უკან დაბრუნება: შენ მიდიხარ ფოსტაში, რომ შეატყობინო გვარდიელებს და თავზე დაგვასხა ისინი. ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით. გირჩევნიათ ახლავე მოგვცეთ იარაღი, თორემ ჩვენ თვითონ მივაგნებთ მასო“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

იმსჯელეს მუზეუმის განვითარების პერსპექტივებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფრუიძე ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ და მუზეუმის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

შეხვედრის ფარგლებში დაისახა საინტერესო იდეები, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმში ვიზიტორების რაოდენობის გაზრდას და მეტად პოპულარიზაციას.

შენობა, რომელიც წლების განმავლობაში განუკითხაობის და ვანდალიზმის მსხვერპლი იყო, ახლა რეაბილიტირებულია და მნიშვნელოვან კულტურულ და საინფორმაციო კერას წარმოადგენს.

ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორის და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმის რეაბილიტაცია 2019 წელს განხორციელდა, ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით. სამუშაოების ღირებულებამ მილიონამდე ლარი შეადგინა.

პროექტის ფარგლებში,სახლ-მუზეუმს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია: გამოიცვალა სახურავი, ფანჯრები, შეიღება კედლები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა აივანს...

შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, ამიტომ პროექტი სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდა.

როგორც ცნობილია,სახლი თავად დიმიტრი ყიფიანმა 1860–იან წლებში ააშენა და ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდიც აქ გაატარა. ამ სახლში თავს იყრიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და საქართველოსთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს განიხილავდნენ.

დიმიტრი ყიფიანის მუზეუმში 600-ზე მეტი ექსპონატია დაცული. აქ წარმოდგენილია როგორც მემორიალური,ისე ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები, ფოტო– მასალა და დოკუმენტები.

დიმიტრი ყიფიანის მუზეუმის მონახულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და კულტურის, სპორტისა და განათლების სამსახურის უფროსი ხაშურში, ლომოურის ქუჩაზე არსებულ ფონდსაცავს ესტუმრენ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ადმინისტრაცია წლებია ითხოვდა ფონდსაცავის აშენებას, რადგან არსებული შენობა უბრალოდ, ვეღარ იტევდა ჭარბ და უნიკალურ ექსპონანტებს. სასიამოვნოა, რომ წელს, ფონდსაცავის შენობა დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ფონდში 100 000-ზე მეტი ექსპონატია დაცული, მათი უმეტესობა ფონდსაცავშია განთავსებული.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, მუზეუმის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, მუზეუმის განვითარების პერსპექტივებზე და სივრცის ადაპტირებაზე იმსჯელეს.

შეხვედრის ფარგლებში დაისახა საინტერესო იდეები, რაც ხელს შეუწყობს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეტად პოპულარიზაციას.

- მუსიკა -

ბათუმიდან ლაურეატის წოდებით დაბრუნდნენ

ქ. ბათუმში, ამა წლის 10-15 დეკემბერს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-14 საფესტივალო კვირეული ,,ფესტივალიდან ფესტივალამდე,, რომელსაც ატარებს საქართველოს ხელოვანთა კავშირი ,,ხელოვნება მომავლისთვის,,დააჭარის განათლების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: ანამარია სამხარაძემ - მე-2 კლასი (ვიოლინო) და თეკლა კაპანაძემ - მე-5 კლ (ვიოლინო) - პედ.ფატი სადაღაშვილი. მოსწავლეებმა სოლო ნომრების გარდა შეასრულეს მსხვილი ფორმის ნაწარმოებები ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად .დირიჟორი - დავით მუქერია.მათ დაიმსახურეს ლაურიატის წოდება, ხოლო პედაგოგმა - მადლობის სერთიფიკატი. ამ ფესტივალში მონაწილეობისათვის ხაშურის სამუსიკო სკოლა მადლობას უხდის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს და კულტურის სამსახურს მხარდაჭერისთვის და საფესტივალო დღეების დაფინანსებისათვის.

სურამის სადაბო პოლიკლინიკაში კლინიკა „ენმედიცის“ საქველმოქმედო აქცია მიმდინარეობს

მოქალაქეების პროფილაქტიკურ გასინჯვებს ატარებენ მაღალი კვალიფიკაციის ექიმი სპეციალისტები: ენდოკრინოლოგი, თერაპევტი, დერმატოლოგი, გინეკოლოგი და ა.შ. ტარდება კლინიკურ–დიაგნოსტიკური და ექოსკოპიური გამოკვლევები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი კლინიკა „ენმედიცის“ მედპერსონალს შეხვდნენ და საქველმოქმედო საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს.

„ენმედიცის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ნანა მახარაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ისე სურამის სადაბო პოლიკლინიკას და მის დირექტორს მაყვალა მაისურაძეს აქციის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.

კლინიკა „ენმედიცის“ წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები შეთანხმდნენ, რომ საქველმოქმედო აქცია ერთჯერადი არ იქნება და პაციენტებს სამომავლოდაც შეეძლებათ მაღალი კვალიფიკაციის ექიმების მომსახურება მიიღონ.

წლის ადამიანები

2021 წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, სამწუხაროდ, ცუდი კუთხით, მაგრამ ამ წელმა მართლაც მთელ კაცობრიობას დაამახსოვრა თავი. ახალმა ვირუსმა ლამის კოლაფსში მოაქცია მთელი პლანეტა და ეკონომიკური წინსვლა მნიშვნელოვნად შეაჩერა. ბუნებრივია, ამ პანდემიას ვერც ჩვენი მუნიციპალიტეტი ასცდა და ამის გამო, მთელი რიგი სირთულეები შეიქმნა. თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენ ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მაგალითები იყვნენ ყველასათვის და თავის სფეროში წარმატებებსაც მიაღწიეს. ამ წარმატებების საფუძველი კი, უპირველესად, ქვეყნის, სამშობლოს სიყვარული და პასუხისმგებლობის უდიდესი შეგრძნებაა, რომელიც ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს და თავისი ცხოვრების წესით, გზის მანათობლად იქცევიან სხვებისათვის.

„ხაშურის მოამბემ“ მცირე გამოკითხვა ჩაატარა (როგორც სატელეფონო, ასევე ზეპირი), რომელშიც 300-ზე მეტი რესპონდენტი მონაწილეობდა. მათ მხოლოდ ერთი კითხვისათვის უნდა გაეცათ პასუხი: ვის თვლით ჩვენს მუნიციპალიტეტში წლის ადამიანად...პასუხები, ბუნებრივია, სხვადასხვა იყო და სულ ოცამდე ფიგურანტი დასახელდა, რომელთაგან ყველაზე მეტი ხმა სწორედ იმ ოთხეულმა მიიღო, რომელსაც დღეს გაგაცნობთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ოთხივემ თითქმის თანაბარი ხმები მიიღეს და ჩვენი მოყვანილი ნუმერაცია მხოლოდ პირობითია. და ერთიც: „ხაშურის მოამბის“ რედაქცია სრულიად ეთანხმება გამოკითხვის შედეგებს და ვთვლით ,რომ ეს ოთხეული ნამდვილად იმსახურებდა „წლის ადამიანის“ ტიტულს.

დავიწყოთ **ლუკა მაისურაძით**. ამ ოქროს ბიჭისათვის 2021 წელი ნამდვილად წარმატებული იყო. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი ხომ გრიალით მოიგო, წლის ბოლოს ევროპის ჩემპიონობაც მიაყოლა(გუნდურში) და ბოლოს, საკლუბო დონეზე, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. სხვათაშორის, ლუკამ როგორც გუნდურ ჩემპიონატში და ასევე საკლუბო ტურნირისას, თავის შეხვედრები ყველა მოიგო. რაც მთავარია, მან ჩვენი ქალაქი ევროპასაც და მსოფლიოსაც გააცნო და იმედი გვაქვს, რომ მისი კარიერა კიდევ ბევრჯერ გაივლის ოქროს ბილიკებს.

ციური გონგლაძე. ცნობილი პედიატრი, ათასობით დედისა და ბავშვის ნამდვილი იმედი. ამ ურთულეს წელს მან, მართლაც თავდაუზოგავი შრომით, სოფლად თუ ქალაქად, უამრავი ბავშვის სიცოცხლე იხსნა და თავისი მაღალი პროფესიონალიზმით ნამდვილად დაიმსახურა, რომ 2021 წლის ადამიანად იწოდებოდეს.

დავით ჩიქოვანი. ჭეშმარიტი პროფესიონალი და ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ჯარისკაცი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის მთელი სირთულე 2021 წელს(ისევე როგორც 2020 წელს) საკუთარი მხრებით ზიდა. ფაქტობრივად, 24 საათიან რეჟიმში უწევდა მუშაობა და მისი უდიდესი დამსახურებაცაა, რომ ვირუსის მსახვრალი ხელი ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს არ შეეხო. ისიც და მთელი მისი სამსახურიც(ჯანდაცვის მინიციპალური ცენტრი) ჩვენგან, თითოეული ხაშურელისგან, მართლაც იმსახურებენ მადლობას. სხვათაშორის, წელს, ბატონმა დავითმა საპატიო ხაშურელის ტიტულიც მიიღო და წლის ადამიანის წოდებაც ალალია მასზე.

მორის დანდურიშვილი. მენტორი მასწავლებლის ტიტულის მოპოვებას რომ თავი დავანებოთ, მისი ხელმძღვანელობით მართლაც უდიდესი წარმატებას მიაღწია მისმა სკოლმა, რაც ხაშურის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. პირველი საჯარო სკოლა მსოფლიოს ას საუკეთესო სკოლათა ჩამონათვალში შევიდა. სწავლების კრეატიული მეთოდები, თანამედროვე მიდგომები ამ სკოლის სასწავლო პროცესის ყოველდღიურობაა და სასიხარულოა, რომ ეს ყველაფერი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ჩვენს ქვეყანაში და არც მის ფარგლებს გარეთ.

აი, ასეთი იყო ჩვენი შედეგები და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ შესანიშნავი ოთხეულიდან თითოეული ნამდვილად იმსახურებს 2021 წლის ადამიანის ტიტულს.

ერთად ვიზეიმოთ 2022 წლის მობრძანება

ძვირფასო მეგობრებო, საახალწლო ღონისძიებები, რომელიც ხაშურში, 25 დეკემბერს დაიწყო, კულმინაციას უახლოვდება. ამიტომ, ყველას გიწვევთ 31 დეკემბერს, ქალაქის ცენტრალურ პარკში, საახალწლო ნაძვის ხესთან, სადაც 19 საათიდან იწყება სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები-როგორც პატარებისთვის, ასევე დიდებისთვის. 22 საათიდან პირველ საათამდე კი გაიმართება გალა-კონცერტი, რომელშიც პოპულარული ბენდი, მოწვეული მომღერლები და ადგილობრივი შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას.

გილოცავთ დამდეგ ხალ წელს და გელით 31 დეკემბერს-ერთად ვიზეიმოთ 2022 წლის მობრძანება!

მუნიციპალიტეტის მერია

D შალვა გელაშვილის ხსოვნას

სიკვდილს იქით ხომ უფრო დიდი სიცოცხლეა, ადრე თუ გვიან ყველანი გარდავიცვლებით და შევუერთდებით სულთა სამყაროს. უეცარი გარდაცვალება მძიმედ მოქმედებს ცოცხლად დარჩენილ ოჯახზე და მაინც მხოლოდ ამ სიტყვებით შეიძლება ვანუგეშოთ უდიდესიადამიანის,მამის,მეუღლის, ბაბუის, საუკეთესო მასწავლებლის შალვა გელაშვილის ახლობლები, მეგობრები, მეზობლები.

ეს დიდებული ადამიანი მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სურამის მეოთხე საჯარო სკოლაში. უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ვერავინ ნახავს მის მომდურავს, მისგან გულნატკენს. ყველას თანაბრად უნაწილებდა გულის სითბოს, ყველას შვილებივით გვეფერებოდა, თანაგვიგრძნობდა და იზიარებდა ჩვენს ლხინსა და ჭირს. როცა სკოლას დაემშვიდობა, არც მერე დავიწყებია ვინმე, ვერავინ დაასწრებდა დაბადების დღეებისა და დღესასწაულების მილოცვას, ყველა ისევ ახსოვდა, ყველას ისევ ეფერებოდა. ახლახან, 14 ნოემბერს 90 წელი შეუსრულდა და როცა მივულოცეთ, გვითხრა, დიდი სურვილი ჰქონდა კიდევ ერთხელ ჩვენთან ერთად აღენიშნა საიუბილეო თარიღი, მაგრამ კოვიდრეგულაციებმა შეუშალა ხელი და წუხდა.

ახლა....ახლა სამძიმარი გვიწევს, ვუსამძიმრებთ ახლობლებს. დიდ მწუხარებას განვიცდით შალვა მასწავლებლის გარდაცვალების გამო. უფალმა სასუფეველში დაამკვიდროს, ოჯახს მოთმინებას ვუსურვებთ ასეთი ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო.

სურამის მეოთხე საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.